სახალხო გაზეთი

№ 1065 ოთხშაბათი, 11 დეკემბერი 1913 წ. № 1065

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 5 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 75 კაპ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგ. № 31—8.
ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1913 წ.
ბენეფისი მ. მდივნისა
ქართ. დრამატ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ახალი მოძღვრება
დრამა 4 მოქმ. და 7 სურათად ბარეტისა, თარგმ. ალ. კანდელაკისა.
ახალი ტანისამოსი და დეკორაციები გ. ნალებოვის მიერ დახატული.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გარსიაშვილი, დავითაშვილი, თოიძე, მამულაშვილი, მაჭავარიანი, მდივანი, პიერეტა, ქოდალოვისა, ქიქოძე, სინაურიძე, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, თუხარელი, იმედაშვილი, მესხი, ხონელი, სარაული, ფრანგიშვილი, ციციშვილი, შანშიაშვილი, ყურუშაძე, შალიკაშვილი.
დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვლ. შალიკაშვილი.
ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „მარიამ სტიუარტი", „ჰამლეტი", „სინათლე" და სხ.
ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.
1468

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი მ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. წამლობა „606", „914". 1604

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მალალაშვილი ნ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს. ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ.	ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება; და სხვა. შეღავათიანი საფასურით.

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა
მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე
დღეს, 11 დეკემბერს, 1913 წ.
დიდი საარისტოკრატო წარმოდგენა
დღისით დაიწყება 2 საათზე, ფასი 5 კაპ.
მე-12 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს ჭიდაობენ. ინგლისელი ბოქსის საჩუქარი 25 მან. ციპსი და ჯაკსონი, პრუსიკი და ელიზაროვი, ვახტუროვი და კოპიევი, რევანში საბატიე და სედიხი. ამ დღეებში ბენეფისი მთელი დასისა.
858 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი
დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.
ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.
9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.
ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

იძლევა ქირით
ღვინის სარდაფი
ოთახებით, წყლით და ავეჯულობით.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 33. სახლი გერმანისა. 868

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისის და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1608

ქ. გორში
ექიმი (დოქტორანტი) მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ი. ი. ბერიშ[illegible]
სწამლობს საშ[illegible] ორგანოთა, ათაშანგისა და [illegible] ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით 1462

ექიმი ს. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. სახ. ყაზაშვილისა.

ექიმი მ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

დოქტორი
ი. ო. უკლადნიკოვი
ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი მღვდელი ს. ა. ლეჟავა
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

შინაური განხეთქილება

ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად ბევრნაირი პროგრამა არსებობს: ზოგი ერთა უბრალო მოქალაქობრივ უფლებების აღიარებით კმაყოფილდება, ზოგი აღიარებს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, ზოგი კი—ეროვნულ-კულტურულს. პირველის დამახასიათებელი თვისებაა უარყოფა სპეციალურ ეროვნული გარანტიებისა, მეორის—ტერიტორიალიზმის პრინციპი, მესამის—ექსტერიტორიალიზმი. მთელი დავა სწარმოებს იმის გარშემო, თუ რომელი ამ საშუალებათაგანი უფრო კარგად სწყვეტავს ეროვნულ საკითხს, რომელი უფრო ნორმალურ პირობებში აყენებს ერის კულტურულ განვითარებას და ამასთანავე ერთად, რომელი მათგანი უფრო შეეფერება ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. იყო დრო, როდესაც ჩვენებური დასელები პირველს პოზიციაზე იდგნენ და უარჰყოფდნენ რაიმე განსაკუთრებულ პოლიტიკურ ნორმებს ეროვნული ცხოვრების მოსაწესრიგებლად. დღეს ისინი ახალს პოზიციაზე სდგანან — აღიარებენ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას არსებობს მესამე მოსაზრებაც, რომლის ძალითაც ეროვნულ-კულტურული ავტონომია არამც თუ არ სწყვეტავს ეროვნულ საკითხს, არამედ უფრო უხერხულსა და რთულ ჩარჩოებში აყენებს საკითხს: უარყოფა ტერიტორიალიზმის პრინციპისა აძლევს ისეთს წეს-წყობილებას, როდესაც ეროვნება, როგორც ისტორიული მოვლენა, ერთს წერტილზე უნდა გაიყინოს და ვეღარასოდეს ვერ დააღწიოს თავი იმ ხელოვნურ ზღუდეებს, რომელსაც ჰქმნის პრინციპი ექსტერიტორიალიზმისა. ამნაირის ზომით ეროვნება იქცევა მკვდარ ფორმად, რომელიც მოკლებული უნდა იყოს ბუნებრივ ევოლიუციას. გარდა ამისა, ექსტერიტორიალიზმის პრინციპი არსებითად კი არა სწყვეტავს ეროვნულ საკითხს, იგი მხოლოდ აშორებს ეროვნებას ტერიტორიას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ტერიტორია, როგორც სარბიელი ეროვნებათა, როგორც საფუძველი ერის **ეკონომიურ** კეთილდღეობისა, ეროვნული განხეთქილების გარეშე დარჩება. ვინც ასე ჰფიქრობს, იმას ჰგონია, რომ ერი მხოლოდ მაშინ ჰსახიერდება ერად, როდესაც ლაპარაკობს და სწერს. ერის ცხოვრება რთულია და იგი მხოლოდ ენის საკითხით არ განისაზღვრება. პირიქით, ერი მტკიცედ არის მიჯაჭვული იმ წრესთან, რომელშიაც სწარმოებს ეკონომიურ-სოციალური შემოქმედება, რომელშიაც იქმნის არა მარტო სულიერი, არამედ ეკონომიური სიმდიდრესაც. ასეთი საფუძველი ერის ეკონომიურ სიმდიდრისა და კეთილდღეობისა კი ტერიტორიაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც ტერიტორიაზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ გვეპარება ის გარემოება, რომ მონაწილე ამ სიმდიდრისა არის ხოლმე არა მხოლოდ ესა თუ ის გაბატონებული ეროვნება, არამედ ყველა ის ერები, რომელნიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე სცხოვრობენ, **სოციალურად** შესდუღებიან გაბატონებულ ერს და ამიტომ ჰქმნიან ერთს მთლიან სოციალ-ეკონომიურ ორგანიზმს.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, ყველა ის, ვინც ეროვნული საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს, გვერდს ვერ აუხვევს ტერიტორიალიზმის პრინციპს და იძულებული გაჰხდება სერიოზული ანგარიში გაუწიოს მას. ამიტომ საუკეთესო გადაწყვეტად ეროვნულ საკითხისა შეიძლება ჩაითვალოს ის, რომელიც ტერიტორიალიზმის პრინციპის აღიარებასთან ერთად აღიარებს უმცირეს ეროვნებათა წმინდა კულტურულ მოთხოვნილებების გარანტიას საერთო სახელმწიფოებრივ კანონმდებლობის საშუალებით. ასეთ გარანტიებად მეცნიერების მიერ აღიარებულია პროპორციონალური არჩევნები, პროპორციონალური განაწილება ბიუჯეტისა და სხვა. ამ გარანტიების შესახებ ამ ჟამად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ჩვენებური დასელები, როგორც ზევითაცა ვსთქვით, თავდაპირველად გაჟღენთილნი იყვნენ იმ „ეროვნული ნიჰილიზმით", რომელიც მშვენივრად დაახასიათა თვით ბ-ნმა ნარიძემ. მაგრამ ამ ჟამად სხვა კილოზე დაიწყეს ლაპარაკი და, როგორც ვიცით, სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციაშიაც გაისმა ხმა, რომ საჭიროა აღიარება ეროვნულ-კულტურული ავტონომიისა. როგორც თვით დასელთა გაზეთი გადმოგვცემს, ფრაქციული განხეთქილების მიზეზად, სხვათა შორის, ამ პრინციპის აღიარებაც გადაქცეულა. ამის გამო გაზეთ „სიტყვა"-ში ბ-ნი ნ. სქარელი ეკამათება თავისიანებს. იგი თავის წერილს ასეთი სიტყვებით იწყობს: „თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ღრმა რწმენით იმას, რასაც ნაციონალურ-კულტურული ანუ ექსტერიტორიალური ავტონომია ეწოდება, თანამედროვე პირობებში არ შეუძლიან ნაციონალური საკითხის გადაჭრა (სახეში გვაქვს საზოგადო წესი და არა გამონაკლისი). მისი საერთო უვარგისობის შესახებ მრავალი პრინციპიალური და პრაქტიკული მოსაზრების მოყვანა შეგვეძლო". როგორც სჩანს, თვით ავტორს თუ ეროვნულ-კულტურული ავტონომია **უვარგისს** საშუალებად მიაჩნია, იგი მომხრე უნდა იყოს **სხვა** რომელიმე საშუალებისა; ეს საშუალება შეიძლება იყოს ან სრული უარყოფა **განსაკუთრებული** რამ საშუალებისა, ან ის, რასაც ჩვეულებრივად ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ეძახიან. ბ-ნი ნ. სქარელი დიდის თანაგრძნობით იხსენიებს უცხოეთის იმ სოციალ-დემოკრატებს, რომლებსაც ყურადღება მიაქციეს ეროვნულ საკითხს და ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი იმ ავადმყოფობით არ არის შეპყრობილი, რომელმაც ეროვნული ნიჰილიზმი ჰქვიან. თუ ეს ასეა, თუ ეროვნული საკითხი ერთი იმ საკითხთაგანია, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა დემოკრატიისთვის აუცილებელია და ამასთანავე ერთად პრინციპი ეროვნულ-კულტურული ავტონომიისა უვარგისია, მაშინ საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ უნდა გადასწყდეს ეროვნული საკითხი თვით ბ-ნ ნ. სქარელის აზრით?

სანამ ბ-ნი ნ. სქარელი ამის პასუხს მოგვცემდეს, ურიგო არ იქნება მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, თუ რანაირად მტრულად დაჰხვდნენ რუსეთის მარქსიზმის გენერლები ჩვენებური დასელების მორცხვსა და მოკრძალებით წარმოთქმულ განცხადებას? „სწორედ მაშინ წარმოითქვა, სამწუხაროდ, თვით გ. პლ—ის მიერ, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მიღება ნიშნავს „სოციალიზმის შეგუებას ნაციონალიზმთან",—ჰგოდებს ბ-ნი ნ. სქარელი. შეიძლება „თვით გ. პლ—ი" იმიტომ იყოს ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიის წინააღმდეგი, რომ იგი უხეირო საშუალებად მიაჩნია? იქნება ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მომხრეა? სრულიადაც არა. იგი წინააღმდეგია საზოგადოდ ყოველნაირი ავტონომიისა— ეროვნულ-ტერიტორიალური იქნება იგი, თუ ეროვნულ-კულტურული. იგი წინააღმდეგია ეროვნებათა უფლებების გარანტიისა განსაკუთრებულ ის რამ პოლიტიკურის ნორმებით. ასეთი იყო იგი თავისი ამხანაგებით ყოველთვის, ასეთნაირად დარჩა დღემდის.

ვინც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას ზერელედ მაინც გასცნობია, იცის, რომ იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენებური დასელები ეროვნული საკითხის გამო თავისი პროგრამით გამოვიდნენ, მაგრამ რუსეთის მარქსიზმის გენერლებმა მაშინ ეს პროგრამა მავნებლად გამოაცხადეს და ჩვენებურმა დასელებმაც იგი მაშინადვე დავიწყებას მისცეს. არამც თუ დავიწყებას, სწორედ მაშინ გაძლიერდა ანტიეროვნული პროპაგანდა და სწორედ მაშინ, გენერლების ლოცვა-კურთხევით, გაისმა საშინელი დევიზი: „ძირს ავტონომია". იგი შავ-ბნელი დრო ეროვნული ნიჰილიზმისა, გვგონია ისტორიას ჩაჰბარდა. ამ ჟამად დასელები მეორედა სცდილობენ დასახული პროგრამა აღადგინონ და მზის შუქზე გამოიტანონ. ჯერ სუსტია ხმა, მაგრამ პეტერბურგში უკვე გაისმა მუქარა მარქსიზმის გენერლებისა.

ვნახოთ, კვლავ შედრკებიან ამ მუქარის წინაშე, თუ იმდენ მოქალაქობრივ გამბედაობას გამოიჩენენ, რომ პირდაპირ შეჰხედონ თვალებში, სთქვან, რაც, სულ ერთია, ერთხელ

მაინც არის უნდა ითქვას, და ამით ბოლო მოუღონ იმ საშინელ განხეთქილებას, რომლის ძლევასაც შეალია თავისი ძალღონე რამდენიმე თაობამ. **არ. ჯ—შვილი.**

ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთში“ ქართველი მუსულმანი ეხება ძველს, მაგრამ მუდამ ახალს საკითხს ქართველ მუსულმანთა და ქრისტიანეთა შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ამას წინად რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ქართველ მუსულმანებისათვის, რომელთაც ურჩევდნენ სწორსა და ნათელს გზას დაადგნენ: შეიგნონ თავიანთი ეროვნული ვინაობა, გაიცნონ თავის ერის ისტორია, დაიწყონ წინსვლა.

„მაგრამ საუბედუროდ ჯერ ჩვენ ვერც ერთი ვერ გაგვიკეთებია. ავიღოთ ჩვენი ვინაობა და ვსთქვათ თუ კი ჩვენ უკვე ვიცით ვინა ვართ, რაღად გვიწოდებენ „თათარს“ ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები? ან ჩვენ რაღად ვაღიარებთ თავს თათრებად. ამაზე იყო „ბათუმის გაზეთში“ მოთავსებული წერილი, რასაც ბევრი დაეთანხმა და მიხვდა თავის შეცდომას. ზოგი კი ისევ კერპობს, თუმცა იციან კი, თუ სიმართლე საით არის, მაგრამ რა საჭიროა ცარიელი თანხმობა და მიხვედრა, თუ ჩვენ ისევ ძველებურად გავიძახით „ეს თათარი, ეს მაჰმადიანი, ეს ქართველი მაჰმადიანიაო“. რა საჭიროა ესენი. როდის იყო, რომ ჩვენ მოძმე ქართველებს „ქართველ ქრისტიანებს“ ვუწოდებდით?.. დიახ. საკმარისია ვსთქვათ სიტყვა „ქართველი“ რომ მკითხველმა ჩვენი ნაციონალური ვინაობა გაიგოს, კარგი, ვსთქვათ, რომ ქართველმა მუსულმანებმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს და ვერ შეითვისეს ეს, რადგანაც ხელს გვიშლის ჩვეულება, გულში ჩანერგული დამღუპველი ფანატიზმი. მაგრამ ქართველ ქრისტიანებს რაღა უშლის ხელს? ალბად, იმათაც ჩვეულება! პირდაპირ რომ ვსთქვათ, ჩვენ ხსნად გვაქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში ეს ჩვეულება, ჩვენ ავად ვართ და წამალს კი არ ვეძებთ. თამამად ვიტყვი, რომ საუკეთესო ნაბიჯი იქნება ამ ჩვეულების თავიდან მოშორება. ამაში უნდა დაგვეხმაროთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო, და აწი მაინც ნუღარ გვიწოდებთ „თათრებს“. აი, მაშინ შეიძლება ქართველმა მუსულმანებმა შეაჩვიონ ყური სინამდვილეს და ღრმად ჩაუკვირდნენ, თუ რაშია საქმე. განა მარტო ჩვენ ჩავდივართ ასეთ შეცდომას? არა! ჩვენ რუსმა მოხელეებმაც დაგვარქვეს „თურქი“ და ბევრ რუსს ვერც კი დაუჯერებია, თუ ჩვენ ქართველები ვართ. ასე სცდებიან არა მარტო უსწავლელნი, არამედ თვით—მასწავლებელნიც კი. თუ ნებავთ მოვიყვან ერთ მაგალითს: ბათომის ერთ სასწავლებელში მოწაფეებს დასაწერად მისცეს „აღწერა ბათომის ოლქის მცხოვრებთა“. ერთმა მოწაფემ დასწერა, რომ ბათომის ოლქში სცხოვრობენ უმეტესად ქართველი მუსულმანებიო. მასწავლებელ ძლიერ გაუკვირდა და იკითხა, ვინ არიან ქართველი მუსულმანებიო? მან სთქვა, რომ ესენი ქართველი მუსულმანები როდი არიან, ესენი „თურქები“ არიანო. ამის შემდეგ მე რაღა უნდა ვთქვა, ძლიერ მიკვირს ამ შეგნებულ პირთა საქმე. თუ იციან, რად ამახინჯებენ სინამდვილეს და თუ არ იციან მაშ, რას სწავლობენ? ვთქვათ, ისინი უმაღლესი პოლიტიკური მოსაზრებით გვიწოდებენ „თურქებს“. ჩვენ რატომ არ ვეუბნებით მათ: არა, ბატონებო, ჩვენ „თურქები“, ოსმალები კი არა ქართველები გახლავართ. მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა ვართ? მაშ სადაურია ჩვენი დედა ენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები რომელნიც ჰღაღადებენ ჩვენს ვინაობას. თვით ქვანიც კი ჰღაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ. მაშ ჩვეულება ნუ იქნება სჯულზე უმტკიცესი, აწი მაინც ნუ მიგვაჩნია ჩვენი თავი „თათრებად“ და ნურც სხვას მივცემთ ნებას, რომ „თათრები“ გვიწოდოს. სჯული სჯულად იყოს და ეროვნება ეროვნებად“!

⁂

კ. აბაშიძე გაზეთს „ერში“ ასე ახასიათებს ალ. ყაზბეგის შემოქმედებას მისი გარდაცვალების 20 წლის შესრულების გამო:

ალ. ყაზბეგის პროზა, მართალია, რომანტიულია, უაღრესობამდი ლირიულია, მაგრამ საუკუნემ რეალიზმისა და ნატურალიზმისა თავისი გავლენა იქონია, რასაკვირველია, მთელს ლიტერატურაზე და ყაზბეგიც იმას ვერ გაექცეოდა. ამიტომ არის, რომ მისი მოთხრობების საფუძველი სინამდვილის დაკვირვებაა, ამიტომ არის, რომ ამ ლირიზმის აღსავსე ფურცლებს შენიშვნები აქვს გაკეთებული, სადაც ოფიციალური მშრალი საბუთებია ნაჩვენები, რომლითაც ავტორი ხელმძღვანელობდა საშინელის, თავზარდამცემის სურათების დასახატავად. ეს სურათები იყო სურათი ახალი თავზე ხელაღებული, გაამფთრებული თავხედის ძალის შესევა მინდობილის ერის ცხოვრებაში და ის კატასტროფა, რომელიც ამან გამოიწვია მთელი ხალხის სულიერ ფსიქოლოგიაში, მის საუკუნეებიდან შეთვისებულ ჩვეულებასა და ადათში, მთელ მის კულტურაში. „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ციცია“, „მოძღვარი“ —ეს საოცარი სინამდვილის სისხლის ფერადებით დახატული ტილოა ორი ძალის, ორი კულტურის, ორი მსოფლმხედველობის შეჯახებისა და შეტაკებისა და ამ სისხლის ფერებიან ნახატზე გაშლილია ლირიზმი საოცარი, კვნესა გულისა ძლიერი, ოხვრა სულისა მტანჯველი. ამ სურათების უკან თვალცრემლიანი მაღლნიჭიერი პოეტი და ხელოვანი გაჰყურებს შორს და იქ ელანდება ოქროს ვარაყებით დაწერილი—„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო“...

სომხური პრესა

(მიმოხილვა)

ამ ბოლოს ადგილობრივი სომხური პრესა მეტს ყურადღებას აქცევს ქართველთა ცხოვრებას და ქართულს ჟურნალ-გაზეთობას. სომხურ გაზეთებში ამ მხრივ პირველი ადგილი უკავია გაზეთს „კოვკასი ლრაბერს“. ასეთი ინტერესი ყველაზე უფრო გამოწვეულია საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევით. როგორც „მშაკმა“, აგრეთვე „ჰორიზონმაც“ ამ საკითხს უძღვნეს ბევრი მეთაური და სხვა წერილი. თითქმის ყველა წერილის ავტორები ამტკიცებდნენ ნავთლუღის უპირატესობას, რადგანაც, მათის აზრით, ქალაქის ინტერესები მოითხოვდა ამას.

„ჰორიზონი“ (№ 265) მეთაურში, სხვათა შორის, სწერს: „ამ ნაირს (ქართულ გაზეთების და მათ შორის „ზაკ. რეჩის“ და „ზაკავკაზიეს“) იერიშს ერთი მიზანი ჰქონდა—დაცვა თავად-აზნაურობის ინტერესების, რომელსაც დაუპირდაპირდა ქალაქის ინტერესები. ვნებათა გამწვავებას უნდა მიეწეროს ის აურ-ზაური, რომელიც ასტეხეს ამ გაზეთებმა, როდესაც პირველად, აპრილის 27-ს გადაწყვეტილ იქმნა 14 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში დაარსება“...

„მშაკი“ (№ 270) მეთაურში, რომელსაც სათაურად აქვს „გირჩევთ შეაჩეროთ“, ამბობს: ხმა-მაღლა ვღაღადებთ და ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენის პირით ლაპარაკობს ერთა სოლიდარობის, ძმობის და სიმართლის ხმა. თუ, ვსთქვათ, კიდეც, რომ ტფილისის სომხის ბურჟუაზიამ, რომელსაც ქართული გაზეთები აბრალებენ ეროვნულ შოვინიზმსა და აგრესიულ პოლიტიკას (რაც სრულებით სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ტფილისის სომხის ბურჟუაზია სრულიად მოკლებულია თვის ერის სიყვარულს, იმდენად, რომ მის სახლიდან განდევნილია დედა-ენა) — მართლაც, ყოველი საშუალება იხმარა პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში გადასატანად, და ეს ჩაიდინა ნაციონალისტურ-შოვინისტურ მიზნით, მაინც ქართულ გაზეთებს არავითარი უფლება და საფუძველი არა აქვთ, შხამი და ბალღამი დაანთხიონ სომხის ხალხს, რომლისათვის სრულებით მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად იქნება პოლიტეხნიკუმი, ნავთლუღში თუ საბურთალოზე. სომხის ხალხს მხოლოდ უნდა, რომ ტფილისში დაარსდეს უმაღლესი სასწავლებელი — პოლიტეხნიკუმი — და რადგანაც, როგორც ფაქტები გვეუბნება, პოლიტეხნიკუმის სწრაფი აგება და გახსნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის ააგეს ნავთლუღში—ამას გვიკარნახებს ყველა გარემოება და პირობა,—რადგანაც მხოლოდ ნავთლუღის არჩევის დროს შესაძლებელი ხდება საჭირო სახსართა მოპოვება პოლიტეხნიკუმისათვის; ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სომხებმა, მიუხედავად კლასისა და წოდებისა, უპირატესობა ნავთლუღს მისცეს და არა საბურთალოს, რომლის არჩევით პოლიტეხნიკუმის დაარსება რამდენიმე ათის წლით უნდა გადადებულიყო“.

შემდეგ გაზეთი ამბობს: პოლიტეხნიკუმი რომ საბურთალოზე აშენებულიყო, სომხებს არავითარი უფლება არ ექნებოდათ იმ გვარი აურზაური აეტეხათ, როგორიც ქართველებმა ასტეხესო.

„ჩვენი ქართველი ძმანი—დასძენს გაზეთი, გვეუბნებიან, რომ მათი წერილი ცემას მიჩვეული არაა და ისინი სუსტნი და უმწეონი არ არიან. უწინარეს ყოვლისა, სომხებს არავითარი სურვილი და აზრი არა გვაქვს ვებრძოლოთ ქართველ ძმებს, რადგანაც ბრძოლის საბუთს არა ვხედავთ; მეორეც, თუ რომ ჩვენის სურვილის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყობა, ჩვენც არ ვართ სუსტნი და უმწეო მოპირდაპირენი (ეს სიტყვები ნახმარებია „ზაკ. რეჩის“ მუქარის გამო).

გონს მოდით ყველანი, რომელთაც დაგვიწყებიათ ისტორია, წარსული; თქვენ, რომლებიც დაბრმავებულნი ხართ ვნებათა ღელვით, მოასვენეთ ქართველი და სომხის ხალხი; ნუ გააღიზიანებთ ბრბოს ცხოველურს გრძნობებს, აღვირს ნუ წახსნით ველურ თვისებებს. პირდაპირ სთქვით, რა უფრო ძვირფასი და უმთავრესია თქვენთვის — პოლიტეხნიკუმი თუ საბურთალოს მიწების ფასების აწევა, ამა თუ იმ მემამულის ინტერესები?

ნაცვლად სიხარულისა, რომ ღვთის მადლით ძლივს განხორციელდა საერთო მისწრაფება. ნაცვლად შეერთებისა და ძმურის ძალებით პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმის დაწყებისა, თქვენ გაჰკივით, რომ არც ერთი ქართველი, არც ერთი რუსი ფეხს არ შესდგავს პოლიტეხნიკუმშიო“...

დასასრულ გაზეთი ურჩევს ყველას, შესწყვიტონ არა სასიამოვნო კამათი და მოასვენონ სომხის ხალხი.

„თუ ბურჟუები ეცადენ ნავთლუღისათვის და ყოველ გვარი საშუალება იხმარეს მიზნის მისაღწევად, ტყუილად გგონიათ, რომ ეს ჩაიდინეს **სომხის აგრესიულ პოლიტიკისათვის**; იგინი ისევე მოიქცნენ, როგორც მოიქცეოდა ქართველი, რუსი, თათარი და ებრაელი ბურჟუაც; მათ იმოქმედეს თავიანთ ინტერესებისათვის“.

ამავე კამათის გამო „მშაკშივე“ დასტამბულ ერთის წერილით სომხის ცნობილი მოღვაწე ექიმი ბ. ნავასარდიანი მიჰმართავს ქართველ მოძმეებს და სთხოვს შესწყვიტონ ესეთი სამარცხვინო კამათი, რომელიც „ჩემს გულს ესე ძლიერ ჰხვდებაო“.

გაზეთი **„ჰორიზონი“** თავდაუჯერლად ჰხარობს პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში აგების გამო და თავის სიხარულს და სიამოვნებას შემდეგის სიტყვებით გამოსთქვამს: „პოლიტეხნიკუმის ადგილის საკითხში,—რაშიც მზის სინათლესავით ცხადია ნავთლუღის უპირატესობა,—მეფის მოადგილემ დაგვიმტკიცა, რომ პატივსა სცემს საზოგადო ინტერესებს კერძოთა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კერძო ინტერესების დამცველნი გავლენიანნი პირები იყვნენ, მეფის მოადგილე არ შეუშინდა წყევლას, ბრძოლის დაბალ იარაღს, რომელიც თავად-აზნაურობის ერთ-ერთ წარმომადგენელთაგანმა კავკასიის მცხოვრებთა და კერძოდ ტფილისელების წინააღმდეგ მოურიდებლად განაცხადა, რადგანაც ქვეყნის გამგე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიის მცხოვრებთა ინტერესების კეთილ მზრუნველია... ამ გვარ ფაქტების გამო ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან სულით და გულით გავიხაროთ“.

ერთ სხვა მეთაურ წერილში გაზ. **„ჰორიზონი“** ეკამათება „ზაკ. რეჩს“ და ამბობს, რომ ამ გაზეთის ერთად ერთი მიზანია, მხოლოდ სომეხ-ქართველთა განწყობილების მოსპობა და ორ მეზობელ ხალხთა შორის მძულვარების დათესვაო...

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **არჩილ ჯორჯაძის ძეგლის მოდელი.** მექანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს დაუმზადებია პატარა მოდელი ა. ჯორჯაძის ძეგლისათვის. ამ დღეებში მოდელი დაათვალიერეს არჩილის ზოგიერთმა მეგობარ-ნაცნობებმა და ძლიერ მოიწონეს. კვარცხლბეკზე სდგას სავარძელი და ზედ ზის განსვენებული ერთს ხელზე დაყრდნობილი. მოდელი საუცხოვოდ გადმოგვცემს არჩილის სახეს, რომელზედაც აღბეჭდილია მთელი სულიერი სინაზე და კეთილშობილობა განსვენებულისა.

✦ **ეგ. ნინოშვილის ძეგლი.** გუშინ წინ ქ. ან. წერეთელთან კერძო თათბირი იყო განსვენებულის მწერლის ეგ. ნინოშვილის ძეგლის აგების შესახებ. ამ ძეგლისთვის სხვა და სხვა დროს შეგროვილი იყო 2500 მანეთამდე; ძეგლის უმთავრესი ნაწილი, მწერლის ქანდაკება კარგი ხანია გაკეთებულია ბრინჯაოსაგან ი. ნიკოლაძის მიერ. საჭიროა გაკეთება შესაფერის კვარცხლბეკისა. ამისთვის ფულიც არის დარჩენილი 600 მანეთამდე. მაგრამ ძეგლის დადგმა ჯერჯერობით სხვა და სხვა მიზეზების გამო შეფერხებულია. თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ ზომები იქმნას მიღებული ძეგლის დასადგამად და ამის განხორციელებამდე კი ქანდაკება გადაეცეს შესანახად საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს. ამ ჟამად ქანდაკება ბ. ნიკოლაძის ატელიეშია.

✦ **ა. ყაზბეგის** სულის მოსახსენებლად მისი გარდაცვალების 20 წლის თავზე, ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის თაოსნობით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ ქართულ საზოგადო და საკულტურო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, პრესის წარმომადგენელნი და ხალხი.

✦ **თავად-აზნაურობის ტრადიციული სალამო-მეჯლისი** გაიმართება 6 იანვარს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ქ. აფხაზის თაოსნობით. როგორც ვიცით, ამ მეჯლისის წმინდა შემოსავალი ტფ. ქართულ გიმნაზიის სასარგებლოდ გადაიდება.

✦ **ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ** გუშინ ინახულა საქართველოს ეგზარხოსი ალექსი. იგი დღეს მეფის მოადგილეს წარუდგება.

✦ **კახეთის რკინის გზა** თანდათანობით კეთდება, ნავთლუღის სადგურიდან ლიანდაგის დაგება 10 ნოემბერს დაიწყეს და ახლა ლოჭინამდე (14 ვერსი) უკვე დაგებულია; სამუშაო მატარებლები უკვე მიდი-მოდის და საჭირო მასალები გადააქვს, ლიანდაგის დაგებას კავკასიის სარკინიგზო მე-2 სპიორთა ბატალიონი აწარმოებს. დღეში ერთი ვერსის დაგებას ასწრებენ.

✦ ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს განუზრახავს ტფილისში დაარსოს **ფოსტა-ტელეგრაფის კურსები.** ამის გამო მიუმართავს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისათვის, შესაძლებლად სცნობს თუ არა იგი ამ სასწავლებელთან გახსნას განსაკუთრებული განყოფილება, სადაც ასწავლიან ფოსტა-ტელეგრაფის წესებს, ელექტრო-ტეხნიკას და სატელეგრაფო მანქანაზე მუშაობას; თუ შესაძლებლად სცნობს, რამდენი გაკვეთილი შეიძლება დაეთმოს ამ საგნებს და შესაძლებელია თუ არა ამ კურსების ხარჯიც სასწავლებელმა იკისროს?

✦ გამგეობის წევრს თ-დ ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და უფროს აგენტს ა. ა. შავერდოვს განუზრახავთ 1 იანვრიდან ისე დააყენონ საქმე, რომ **მეფურნე-მეთონეებისა და ხაბაზთა დუქნების რაოდენობა შემცირდეს** და ეს საქმე მსხვილ მწარმოებელთა ხელში დარჩეს. მათის აზრით წვრილი მწარმოებელნი, ხელმოკლეობისა გამო, ვერ ახერხებენ ყველა სასანიტარო მოთხოვნილების შესრულებას.

✦ **კადეტთა კორპუსის ასაგებად** მომავალი წლისთვის 480 ათასი მანეთი გადადვიათ. ამ შენობისათვის სულ გადაიდება 2,200,000 მანეთი, შენობაში მოთავსდება 600 კადეტი, სასწავლებლის გარდა იქვე აშენდება სასწავლებლის ადმინისტრაციის, ექიმისა, მღვდლისა და სხვა მოსამსახურეთა ბინებიც. იმედი აქვთ შენობა მთლად დაასრულონ სამს წელიწადში. „ტფ. ლისტოკის“ სიტყვით, ვაკეში შეძენილი ადგილი, თურმე, საკმაო არ აღმოჩენილა, ახლო-მახლო მდებარე მიწების პატრონთაც ძალიან დიდი ფასი (?) უთხოვნიათ, ამის გამო კორპუსის დირექტორი ქალაქის გამგეობას შესთანხმებია, რათა ქალაქმა ლოტკის გორაზე დაუთმოს საჭირო ადგილი.

✦ **ტფილისის სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში** წელს შემოდგომიდან მოთავსებულია ვინოგრადოვის საპოლიტეხნიკო კურსები. ვინოგრადოვმა ამ შენობაში მოთავსებული ეკლესია თავისი ხარჯით გადააკეთა. კვირას ეგზარხოსმა ალექსიმ გორის ეპისკოპოს ანტონისა, ერევნის ეპისკ. პიმენისა და სემინარიის რექტორ იეროფეის თანამწირველობით ეს ეკლესია აკურთხა. კურთხევას ხალხიც ბევრი დაესწრო. ეკლესიის მღვდლად დაინიშნა სანთლის ქარხნის გამგე მღ. მიქელაძე, იგალობებს ხოლმე საპიორთა რუსული ხორო.

✦ ტფილისის გარშემო მთები რამდენიმე დღეა ჩამოთოვლა. გუშინ კი **თოვლი** ტფილისსაც ეწვია და დილიდანვე ჰბარდნიდა.

✦ **სოლოლაკის გვირაბი.** ქალაქის საბჭოს 9 დეკემბრის კრებაზე ხმოსანი ა. ი. მიტკევიჩი ქალაქის გამგეობას შეეკითხა, რა მდგომარეობაშია სოლოლაკის გვირაბის გაყვანის საქმეო. კრების თავჯდომარე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დაჰპირდა, პასუხს შემდეგს კრებაზე მოგცემთო. ამის გამო ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა შესაფერ ცნობების შეკრებას სოლოლაკის გვირაბის შესახებ.

✦ **მეორე საკომერციო სასწავლებლის სასარგებლოდ** 16 დეკემბერს სახაზინო თეატრში საოპერო წარმოდგენა გაიმართება.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიის** კრება მოხდა 9 დეკემბერს. კომისიამ მოისმინა ქალაქის კანტროლიორის მოხსენება იმის შესახებ, რომ წარსულ ნოემბრის განმავლობაში ქალაქში ტრამვაის ვაგონთა საკმარისი რიცხვი არ მუშაობდა, ზოგს ვაგონს პარკში ადრე აბრუნებდნენ და სხვა. ამისათვის კომისიამ დირექცია 21,000 მან. დააჯარიმა. ამის შემდეგ კომისიის წევრმა უტიშევმა განაცხადა, რომ ნაძალადევის შტოზე მხოლოდ ორი ვაგონი მუშაობს, თუმცა ხელშეკრულობით იქ ექვსი ვაგონი უნდა იყოს. გამოირკვა, რომ ამისათვის ტრამვაის დირექციას ჯარიმები ჰხდება ყოველთვის, მაგრამ ჯარიმების გადახდა ურჩევნია ამ შტოზე ექვსის ვაგონის მუშაობას, რადგანაც ელექტრონის ძალა არ ეყოფა მათ ასამუშავებლად და ტყუილ-უბრალო ხარჯს გასწევს ახალ ვაგონებზე, რომელიც მაინც უძრავად უნდა იდგას და დირექციამ კი კვლავ ჯარიმები უნდა იხადოს.

✦ ქალაქის საბჭოს **სატყეო-საბაღოსნო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

ოდესა

✦ 3 დეკემბერს ადესის სტუდენტთა რესტორან „ბავარიის“ ამკლებმა „გმირმა“ **მიხეილ კვინიხიძემ** ხელით შეურაცხყოფა მიაყენა ორ ქართველ საუკეთესო სტუდენტს. მიზეზი—რესტორან „ბავარიის“ ამბის ქართულ გაზეთებში ჩაწერვაა. ხელის შემწყობად და წამქეზებლად ამ საქმისა იყო სტუდ. **მიხეილ იაშვილი.** მთელი სტუდენტობა აღშფოთებულია ამ ველურ საქციელით და ამხანაგობიდან გარიცხვას უპირებს ამ „გმირებს“.

ბაქო

✦ **მილიონერ თაგიევს,** რომელსაც ბებუთოვის საქმის გამო ოთხი თვე ჰაუპტვახტი ჰქონდა მისჯილი, უმაღლესად შეუმცირდა სასჯელი და თავისსავე სახლში ერთი კვირით დააპატიმრებენ.

ქუთაისი.

✦ ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტი 8 დეკემბრიდან ს. ყურსებში (ოკრიბაში) მართავს მყნობის კურსებს და მასთან მევენახეობაზე საუბარს.

✦ შაბათ ღამეს ქუთაისში თოვლი დაიწყო და კვირას საღამომდი არ გადაუღია.

✦ რაჭის მაზრაში შიმშილობა უკვე დაიწყო, როგორც გვწერენ: ჯერ-ჯერობით კოდი სიმინდი (ორ ფუთ ნახევარი) ოთხ მანეთად ფასობს. ამბობენ უფრო გაძვირდებაო.

✦ ქალაქის სასკოლო კომისიამ დაადგინა, პეტერბურგს, სახალხო მასწავლებელთა კრებაზე დასასწრებლად მასწავლებელი ქალი ა. ბერეკაშვილი გაგზავნოს. კომისიამ სთხოვს საბჭოს, რომ ქ-ნ ბერეკაშვილს გზის ხარჯად 15 თუმანი მისცეს.

✦ მთავრობის განკარგულებით გაანთავისუფლეს ძმები ვანო და ბესარიონ საღრიშვილები, რომელთაც გადასახლება ჰქონდათ გადაწყვეტილი.

✦ 7 დეკემბერს კავკასიის დროებით სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია, ვოლოდია საყვარელიძის და რაჟდენ იმედაშვილის საქმე, მათ ბრალდებოდათ წელს ზაფხულში ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში სატუსაღოს მეთვალყურესათვის რევოლვერის წართმევა და მით ბოქაულ იაშა მიქიაშვილის მოკვლა. მიქიაშვილს სასამართლოს დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის სამი წლის გამასწორებელი რაზმი ჰქონდა მისჯილი და სასჯელის გათავების გამო იმ დღეს ანთავისუფლებდნენ. სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და **სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.** საყვარელიძე ჰკუაზე შემცდარი. გუშინ საყვარელიძის მშობლებმა, მეფის მოადგილეს დეპეშა გაუგზავნეს, რომ სასჯელი აპატიონ. დეპეშა გაუგზავნეს აგრეთვე დეპუტატ ჩხენკელს საყვარელიძე ჰკუაზე შეიშალა და სასჯელის შეცვლაზე იშუამდგომლეო

შორაპანი

✦ 3 დეკემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე რკინის გზის ფერშალ ბოლდთან მისულა ერთი უცნობი კაცი და უთხოვია: ავადმყოფი მყავს, ცხენს მოგიყვან და წამობძანდიო. ფერშალს თანხმობა გამოუცხადებია, რის შემდეგ ის სახლში აღარ დაბრუნებულა. როგორც ამბობენ, შანტაჟისტები ექვსი ათას მანეთს სთხოვენ მას, ფერშალი კი ძალიან ღარიბი ყოფილა. შანტაჟისტების თავგასულობას შორაპნის მაზრაში საზღვარი არ აქვს. როდის მოეღება ბოლო ამ ვაჟბატონების თარეშს?

სამტრედია

✦ საინტერესო ცნობებს იწოდებიან სამტრედიის სამზითვო კასის შესახებ: კასას მოქმედება დაუწყია მიმდინარე წლის 28 აპრილიდან, ეხლანდ მას 950 წევრი ჰყოლია, რომელთაგან 500 ნამდვილ წევრად ითვლება, დანარჩენები კი კანდიდატებად. შვიდი თვის განმავლობაში 272 წევრი ქალი დაქორწინებულა კასის შემწეობით, რომელთაც 35,780 მანეთი მიუღიათ, კასას ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 38,311 მანეთი და 19 შაური.

ტფ. ქალაქის საბჭო

9 დეკემბრის სხდომა.

კრების დაწყებამდე ხმოსანთა კერძო თათბირი იმართება ქალაქის გამგეობის წევრის კანდიდატის დასასახელებლად ნაცვლად მ. ნ. ათაბეგოვისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. ხმოსნები თათბირობენ აგრეთვე იმის თაობაზე, ახალ წევრს ძველებური ჯამაგირი მისცენ, თუ მოუმატონ.

კრება იწყება საღამოს 9 საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

ქალაქის მდივანი **ა. მ. ჯაბაძე** კითხულობს წარსულ კრების ოქმს, რომელსაც საბჭო უცვლელად ამტკიცებს.

ხმ. ა. ბაბოვი გამგეობას ეკითხება, რა მდგომარეობაშია ქალაქის გამგეობის საიჯარო სტოლის საქმეები, რომლის გამოც შეკითხვა დიდი ხანია შემოვიტანეო.

თავმჯდომარე. საიჯარო სტოლის საქმეების გამოძიება დავალებული ჰქონდა გამგეობის ერთ-ერთს წევრს, რომელმაც გამოძიება დაასრულა. გამოძიების შედეგს ამ დღეებში ქალაქის გამგეობა მოისმენს თვის კრებაზე და შემდეგ საბჭოს მოახსენებს.

განსახილველია საკითხი: **დაჯარიმონ თუ არა ტრამვაის დირექცია წარსულ გაფიცვის დღეებისთვის?**

თავმჯდომარე. ეს საკითხი უკვე განიხილა საბჭოს სატრამვაიო კომისიამ, რომლის წევრთა უმრავლესობა დაჯარიმების მომხრე აღმოჩნდა. რადგანაც დაჯარიმების მომხრენი დიდ უმრავლესობას არ შეადგენდნენ, ამიტომ კომისიამ საჭიროდ სცნო, საკითხი განსახილველად გადასცემოდა ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიას იმის გადასაწყვეტად, შეიძლება თუ არა წარსულ გაფიცვას იურიდიულის მხრით დაერქვას სტიქიური მოვლენა, რომელიც არ იყო გამოწვეული თვით ტრამვაის დირექციის მოქმედებით. მასალები სატრამვაიო კომისიამ მართლაც გაუგზავნა საიურიდიო კომისიას, მაგრამ უკანასკნელმა ისევ უკან დაუბრუნა, საბჭოს კრების უდასტუროდ ვერ განვიხილავთო. ახლა გამგეობა კრებას სთხოვს, ნება დართოს, რათა საკითხი საიურიდიო კომისიას გადაეცეს.

საბჭო გამგეობის წინადადებას ეთანხმება.

ამის შემდეგ საბჭო, თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა, ადგენს მორიგებით გაათავოს ელიზა შალკევიჩთან დავა, რომელიც ატეხილი იყო პირველ საპოლიციო უბანში მდებარე 12 ოთხკუთხ საჟენის მიწის გამო.

ეროვნული

ამის შემდეგ საბჭო ისმენს ქალაქის გამგეობის მოხსენებას **სატრაქტირო გადასახადის** შესახებ. საქმის ვითარება შემდეგია: მომავალ წლისთვის საბჭომ სატრაქტირო გადასახადი გაადიდა, რის გამოც, რასაკვირველია, სხვა და სხვა დაწესებულებაზე შარშანდელზე მეტი გადასახადი იქმნა გაწერილი. გადასახადი განაწილა საგანგებო კომისიამ. ბევრი გადასახადის მომატებით კმაყოფილი არ გახდა და ქალაქის გამგეობაში საჩივარი შეიტანა, მეტის მეტად დიდი გადასახადი დაგვადო კომისიამო. სულ 30 საჩივარი. მაგალითად „ტფ. კრუჟოკ“-ისაგან, რომელსაც 1913 წელს შეწერილი აქვს 1,495 მ., ხოლო 1914 წელს—2,600 მან., ავლაბრის საზოგადო კლუბისაგან, რომელსაც 1913 წელს 600 მან. ჰქონდა შეწერილი, ხოლო 1914 წელს—1,100 მან. და სხვებისა.

საბჭომ ქალაქის გამგეობის წინადადებით საჭიროდ სცნო, მომჩივანთ გადასახადი შეუმცირდეთ და დაკლებული ფული განაწილდეს სხვა დაწესებულებებზე, რათა გადასახადის მთელი ჯამი არ შეიცვალოს.

ჯერი მიდის ქალაქის გამგეობის წევრის არჩევაზე ნაცვლად მ. ნ. ათაბეგოვისა, რომელმაც სამსახურის ვადა გაათავა. საბჭოს დარბაზში ამ დროს 60 ხმოსანია.

თავმჯდომარე. ვიდრე კანდიდატს დაასახელებდეთ, უნდა გადასწყვიტოთ, რა ჯამაგირი მიეცეს გამგეობის ახალ წევრს.

ამის შემდეგ თავ. ა. არღუთინსკი თავმჯდომარეობას უთმობს ხმოსანს ლუნკევიჩს, რომელიც ასეთს შემთხვევებისთვის საბჭოს თავმჯდომარედ არის არჩეული.

ხმ. ა. ბაბოვი. მიეცეს გამგეობის ახალ წევრს ძველი ჯამაგირი—წელიწადში 400 მან.

ხმ. სულხანოვი. მოემატოს წელიწადში 800 მან., ე. ი. გაუხადოთ 4,800 მან.

ხმ. ბაბოვი. მე მომატების წინააღმდეგი ვარ. როდესაც გვეუბნებიან, ჯამაგირი მოუმატოთო, ისიც უნდა სთქვან, რა მოსაზრებით. გამგეობის წევრებს ისედაც მოვუმატეთ ამას წინად ჯამაგირები,

ხმ. სულხანოვი საჭიროდ არ სთვლის თვის აზრის დასაბუთებას. ეს ყველამ იცისო და დასძინს, ამაზე დრო როგორ დავკარგოთ, როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს განსახილველი, როგორც ხარჯთ-აღრიცხვა არისო.

ხმ. მიტკევიჩი კითხულობს, რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც გამგეობის წევრებს ჯამაგირები მოვუმატეთო.

ქალაქის მდივანი. სრული ორი წელიწადია. მაშინ ჰქონდათ წელიწადში 3,600 მან. და 4,000 მანეთი გავუხადეთო.

ხმ. მიტკევიჩი. მე წინააღმდეგი ვარ ჯამაგირის მომატებისა, რადგანაც ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა მეტად უნუგეშოა.

ხმ. ტიგრანოვი. მოსამსახურეებს მუდამ რიგიანი ჯამაგირები უნდა ჰქონდეთ. ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა არასოდეს არ გაკეთდება. ამას გვიმტკიცებს რუსეთის სხვა ქალაქების მდგომარეობაც. წინად რაღაც 400 მან. მოვუმატეთ. ეს პირველი ფრთხილი ნაბიჯი იყო მომატებისაკენ, ახლა კი გაბედული ნაბიჯის გადადგმა არის საჭირო.

ხმ. გოთუა. აქ ერთის წევრის ჯამაგირის მომატებაზე არ არის ლაპარაკი. აუცილებელია მომატება ჯამაგირებისა გამგეობის ყველა წევრებისთვის. ეს იწვევს ყოველ წლიურ ზედმეტ ხარჯს 4,000 მან., რასაც ქალაქის კასის მდგომარეობა ვერ აიტანს. დიდი ხანი არ არის, რაც აღიძრა საკითხი: მოემატებინათ ჯამაგირი ქალაქის სკოლების მასწავლებელთათვის მათთვის ჯამაგირების მომატება სრულიად კანონიერი იქნებოდა, რადგანაც ისინი დიდს შრომას ეწევიან. მთელის შტატისთვის საჭირო იყო სულ 8,000 მან., მაგრამ ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიამ ჯამაგირების მომატება უარჰყო ფინანსიურ მოსაზრებათა გამო და საკითხმა საბჭომდისაც არ მიაღწია. აღძრულია აგრეთვე საკითხი: მოემატოთ ჯამაგირები ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებს, რაც აუცილებელია შესრულებულ უნდა იქმნას, რადგანაც მდაბალი მოსამსახურენი დიდსა და მძიმე სამუშაოს ასრულებენ, მათის შრომის ნაყოფით ვსარგებლობთ და ჯილდოს კი ვერ იღებენ ამისთვის. ჯამაგირების მომატება უნდა დაიწყოს დაბალ მოსამსახურეთაგან და არა უფროსთაგან.

ხმ. ბებოვი. 1912 წლის შემდეგ, როდესაც გამგეობის წევრებს ჯამაგირები მოვუმატეთ, ცხოვრება არ შეცვლილა, არ გაძვირებულა, ქალაქის ზარალი კი დღითი-დღე იზრდება და ახლა 4 მილიონ მანეთამდე აღწევს. წინ გვიდევს მრავალი ხარჯი: მასწავლებლებისთვის ჯამაგირების მომატება, სასკოლო შენობები, მოკირწყვლა და სხვა, მაგრამ შეძლება არა გვაქვს. მე არავითარ საბაბს არ ვხედავთ, რომ გამგეობის ახალ წევრს ჯამაგირი მოვუმატოთ. თუ რაიმე განსაკუთრებული სამსახური მიუძღვის, ამითვის ცალკე ჯილდო მივცეთ... ჯამაგირის მომატება გამგეობის წევრის შრომის უნარს ვერ გააორკეცებს.

ხმ. ბეზობრაზოვი. ჯამაგირის მომატებაზე კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, წინ რომ არ გვედოს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ჩვენის კასის მდგომარეობის უნუგეშო სურათს გვიშლის. მე საჭიროდ მიმაჩნია ამაზე ლაპარაკი სულ მოისპოს და საკითხს კენჭი აღარ ეყაროს.

ხმ. მიტკევიჩი. მე წინააღმდეგი არა ვარ კარგის ჯამაგირებისა. ჩემის აზრით, სჯობია მოსამსახურეთა შტატი შემცირდეს და დარჩენილნი მოსამსახურენი კი რიგიანად იქმნენ ნივთიერად უზრუნველნი, მაგრამ ამის შესახებ გამგეობას არა წარმოუდგენია რა. ხარჯთ-აღრიცხვის საზღვრების გადალახვის წინააღმდეგი ვარ.

ხმ. თოიძე. თვით-მმართველობაში არიან ისეთი მოსამსახურენი, რომელნიც 25 წელიწადია მსახურობენ. მაგრამ მათთვის ჯამაგირების მომატებაზე არავინ ფიქრობს.

საკითხს კენჭს უყრიან. საბჭო 32 ხმით წინააღმდეგ 23 ხმისა ადგენს, მოემატოს გამგეობის წევრს 800 მ., ე. ი. გაუხდეს წელიწადში 4,800 მან. ამას გარდა გამგეობის წევრებს გზის ხარჯად წელიწადში 250 მან. ეძლევათ).

ამის შემდეგ გამგეობის წევრის თანამდებობაზე ასახელებს მხოლოდ **ერთს კანდიდატს**—ისევ **მ. ნ. ათაბეგოვს**, რომელსაც ყუთს უდგამენ.

საბჭო 58 ხმით წინააღმდეგ ორისა მ. ნ. ათაბეგოვს კვლავ ირჩევს გამგეობის წევრად.

მ. ნ. ათაბეგოვი მოკლე სიტყვით საბჭოს მხურვალე მადლობას უხდის.

უკვე ათი საათია. განსახილველია **ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.**

თავმჯდომარე. თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს, საფინანსო განყოფილების გამგეს, ამ ჟამად ლაპარაკი არ შეუძლიან, რადგანაც ამას წინად ყელში აპერაცია გაუკეთეს. ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვის გამო საჭირო ცნობებს გამგეობის დანარჩენი წევრები მოგცემენ.

ხმოსნები მიტკევიჩი და ბეზობრაზოვი თხოულობენ, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა მომავალ ხუთშაბათიდან დაიწყოს, რადგანაც ახლა გვიან არის და საკითხი კი მნიშვნელოვანია.

საბჭო მათ ეთანხმება.

ხარფუხის სახალხო აუდიტორიისა

და კლუბის კურთხევა.

თუ ქალაქის გამგეობისათვის ქალაქის განაპირა ადგილები გერად არის მიჩნეული და გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს, სამაგიეროდ უკანასკნელ ხანებში ეს განაპირა ადგილები ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის წყალობით თანდათან იღვიძებს და ეტანება კულტურას. ეხლა ტფილისის ყოველ განაპირას იმართება სახალხო კითხვები, ლექციები, წარმოდგენები და საერთოდ გასართობები. ყველაზე უფრო დაქვეითებული ხარფუხი იყო, რადგან აქ უღარიბესი მცხოვრებნი თათრები არიან და ქალაქის გამგეობას რაში ეპიტნავება ამ ღარიბ ნაწილის დახმარება, თუ შემდეგში მათვე შავს მისცემენ. სამი ოთხი წელიწადია ეს მხარე სთხოვდა ქალაქს: დაგვეხმარეთ, გაგვიხსენით აუდიტორიაო, მაგრამ არ იქნა. ბოლოს ისევ ადგილობრივმა ქართველებმა იკისრეს სახალხო წარმოდგენების მართვა. მაგრამ ხელმოკლე ინიციატორებს ათასგვარი დაბრკოლება ეღობებოდა. და ბოლოს დაიბადა აზრი, გაეხსნათ კლუბი, რომელსაც მიეკედლებოდა სახალხო აუდიტორია. დიდი შრომა და ენერგია დახარჯეს ამ საქმის მოსაწესრიგებლად დ. დუმბაძემ და პ. გოთუამ. იყო დრო, როდესაც უკვე მოწესრიგებული საქმე კინაღამ დაიღუპა, რადგან ქალაქი შენობისათვის 600 მან. მოითხოვდა ქირას და „ისკიც“ კი წარუდგინა. მაგრამ გუშინწინდელმა დღესასწაულმა დაგვანახვა, თუ რა შეუძლიან შრომას და ენერგიას, შენობა ხარფუხისათვის საუცხოვოა. აბანოს ქუჩაზე, სახლი № 8. იგი სრულებით გადაკეთებული და გალამაზებულია, აუდიტორია პაწაწა კოხტა სცენით იტევს 200—300-მდე კაცს. აქ გაიმართება ქართულ-რუსულ-თათრულ-სომხური წარმოდგენები. დამფუძნებელ წევრებად თითქმის ყველა ჩვენი მოღვაწეა. ყველანი ხალისიანად მიეგებნენ ამ საქმეს. წევრების რიცხვი უკვე ორასამდეა. გამგეობის თავმჯდომარედ არის დ. დუმბაძე. გამგეობაში შედის ხუთი ქართველი, სამი სომეხი და ორი თათარი. აუდიტორიის კურთხევას აურებელი ხალხი დაესწრო. პარაკლისის წინ დეკ. თალაკვაძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც აღნიშნა სახალხო აუდიტორიის მნიშვნელობა. შემდეგ ილაპარაკა გამგეობის წევრმა ნ. არგუთინსკიმ. ს. ივანიძემ აღნიშნა, რომ როდესაც საქმე ხალხმა თვით გააწყო თავის ოფლით და ქაპანწყვეტით მოაწესრიგა, ეხლა მოდიან და ამბობენ „დაგიარსეთო“. დასასრულ ბ. ივანიძემ ხალხს მოუწოდა მჭიდროდ შეკავშირდით და ხალხურ საქმეს ისევ თქვენვე გაუძღვითო. შემდეგ წაიკითხეს მილოცვები თავ. კ. აფხაზისა, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით მიეგებნენ, და აგრეთვე მრავალი სხვაც. ბევრი მილოცვები იყო ქართულ სახალხო წარმოდგენების სხვა და სხვა სექციებიდან და აგრეთვე სხვა დაწესებულებებიდანა. სიტყვები წარმოსთქვეს დ. დუმბაძემ და კიდევ სამმა წევრმა ქართულად, სომხურად და თათრულად. შემდეგ სტუმრებს ჩაით გაუმასპინძლდნენ, საღამოს გაიმართა წარმოდგენა ქართულად. წარმოადგინეს „საუბედურო დებიუტი“, სომხურად, რუსულად და თათრულად „კრთ-კრთ“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საერთო ვახშამი, რომელზედაც კარგი მხიარულება სუფევდა.

გ—ნი.

მცირე შენიშვნა

ქართველ დელეგატთა საყურადღებოდ.

როგორც ვიცით, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდანაც მიემგზავრებიან დელეგატები სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა მეორე კრებაზე, რომელიც იმართება პეტერბურგში 23 დეკემბრიდან 3 იანვრამდე. ამ საზოგადო კრებაზე იქნება მრავალი საყურადღებო საკითხი, რომლის საკეთილოდ გადაწყვეტა და მისი ცხოვრებაში გატარება წაღმა მოატრიალებს დღეს ბურუსით მოცულს სახალხო განათლების საქმეს. მაგრამ ჩვენთვის და ყველა არა რუსთათვის, მთავარი საკითხია დედა ენაზე სწავლების უფლების მოპოება სახალხო სკოლებში მაინც. აი სწორედ ამ უმთავრეს საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ჩვენმა დელეგატებმაც თავიანთ მოხსენებაში უმთავრესი ყურადღება ამ საქმის დაცვას უნდა მიაქციონ; სიტყვითაც და მოხსენებითაც უნდა დაიცვან ის პრინციპი, რომ სახალხო სკოლა მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის დანიშნულებას, როცა დედა-ენას ისეთი უფლება ექნება, როგორიც მას შეჰფერის საღის გონებისა და პედაგოგიურის თვალსაზრისით. უეჭველია, ყველა არა რუსთა სკოლები იმგვარსავე ტაფაში იწვიან, როგორც ჩვენი სკოლები, ეჭვებს გარეშეა, რომ საზოგადო გასაჭირი შეაერთებს ყველა არა რუსთა სკოლების წარმომადგენლებს და ამ საერთო ღაღადს ხმას მისცემენ თვითონ რუსი პედაგოგებიც, რომელთათვისაც საზოგადოდ პედაგოგიური ჭეშმარიტების დაცვა რუსეთში პირდაპირ ზნეობრივ მოვალეობად უნდა შეადგენდეს.

ეს საკითხი დედა-ენის უფლების შესახებ არა რუსთა სკოლებში უფრო გამწვავდა იმის შემდეგაც, რაც სახელმწიფო საბჭომ ხმის უმეტესობით ღირსად სცნო ზოგიერთ არა რუს ერებისათვის მიენიჭებინა უფლება დედა ენაზე სწავლებისა დასაწყისს სკოლებში. როგორც ვიცით, სახელმწიფო საბჭოს დადგენილებამ ჩაილურის წყალი დალია, და სანაცვლოდ არა რუსთა სკოლებს მოევლინათ სამინისტროსაგან ახალი წესები, რომელიც უფრო და უფრო ავიწროებს დედა-ენას.

დეე საზოგადო ხმა პედაგოგებისა ჰქუხდეს ამ საერთო კრებაზე, რათა სახალხო სკოლას დაუდგეს ჟამი განახლებისა და ცხოვრებაშიც გატარებული იქმნას ის წმინდა პედაგოგიური აზრები, რომელსაც ჰქადაგებდა რუსთა პედაგოგიკის მამამთავარი უშინსკი, რომლის სახელითაც იმართება ამ ჟამად რუსეთის მასწავლებელთა მეორე კრება.

ლ. ბოცვაძე

ბერ-მონაზონი სერაფიონის საქმე

4 დეკემბერს უწმინდეს სინოდის საიდუმლო კრება მოხდა. კრებას ბერ-მონაზონ სერაფიონის თხოვნა უნდა განეხილა. ბერ-მონაზონი სერაფიონი სინოდის განკარგულებით განწესდა სოხუმის ეპარქიის ერთ-ერთ მონასტერში. სერაფიონმა სინოდს სთხოვა, სხვაგან სადმე გადაეყვანათ, რადგანაც მას არა ჰსურს საქართველოს ახლად დანიშნულ ეგზარხოსის ალექსის ხელქვეითად იყოს, ან მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდეს; სერაფიონის აზრით არქიეპისკოპოს ალექსის ეგზარხოსად დანიშვნა არა კანონიური გზით გრიგოლ რასპუტინის გავლენით მოხდაო. სერაფიონის თხოვნაში ნათქვამია: არქიეპისკოპოსი ანტონი ერთ-ერთ წერილში მკაცრად ისხნიებს გრიგოლ რასპუტინს და ჰკიცხავს მის გავლენას საეკლესიო საქმეებზეო.

სერაფიონის თხოვნა მკაცრი კილოთი ყოფილა დაწერილი და სინოდის წევრებზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

მიტროპოლიტ მაკარის აზრით, ვიდრე სერაფიონის ბედს გადასწყვეტნენ, საჭირო არის შეეკითხონ არქიეპისკოპოს ანტონის—როგორ უყურებს საქართველოს ეგზარხოსის დანიშვნას და რამდენად მართალია სერაფიონის თხოვნაში მოყვანილი სიტყვები. ხანგრძლივ კამათის შემდეგ დაადგინეს: არ დასაჯონ ბერ-მონაზონი სერაფიონი, რადგანაც იგი ავადმყოფ ადამიანად არის ცნობილი, და კვლავ ვოლინში დააბრუნონ არქიეპისკოპოს ანტონის გამგებლობაში.

ობერ-პროკურორ საბლერზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია სერაფიონის თხოვნის გაზეთებში დაბეჭდვას. იგი ჰშიშობს, საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ, სერაფიონის თხოვნის გამო განმარტება არ მოსთხოვოს არქიეპისკოპოს ანტონსო. საბლერის სიტყვით, ეს ამბავი არა სასურველ მდგომარეობას შექმნისო.

(„დენ“).

საკანონმდებლო დაწესებულებაში

უპრეზიდიუმო ფრაქცია.

ოქტომბრისტთა ფრაქცია უპრეზიდიუმოდ დარჩა. ფრაქციის წევრმა ანტონოვმა თავმჯდომარეობას თავი გაანება. თავმჯდომარის ამხანაგი ზვეგინცევი ფრაქციიდან გავიდა. თავმჯდომარის მეორე ამხანაგმა გრ. ბენიგსენმაც თანამდებობაზე უარი სთქვა. მდივანი ლიუცი მდივნობიდან გადადგომას აპირობს.

მოსალოდნელი განხეთქილება მემარჯვენეთა ფრაქციაში.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ნაციონალისტები სცდილობენ სათათბიროში ისეთი უმრავლესობა შეჰქმნან, რომელიც კოკოვცევის პოლიტიკას მხარს დაუჭერს. ამის გამო მოსალოდნელია მემარჯვენეთა ფრაქციის გათიშვა. ზომიერი მემარჯვენენი, რიცხვით 40 კაცი, გამოვლენ მარკოვ-პურიშკევიჩის ფრაქციიდან და ნაციონალისტების ფრაქციას მიეკედლებიან.

ოდესელი ქართველი სტუდენტების საქციელის გამო.

„სახალხო გაზეთის“ № 1053-ში მოყვანილია ამბავი ოდესელი ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილის ველურობისა. ეს ისეთი ალმაშფოთებელი მოვლენაა, რომ არც ერთი ქართველი გულ-გრილად მას ვერ მოისმენს.

ყოველ წლივ და თითქმის ყოველ უმაღლესს სასწავლებლიდგან მოდის ხოლმე ასეთი სამარცხვინო ამბავი—ან ქართულ საღამოზედ ქართველმა ვისმეს სილა გააწნა, ან დათვრა და იქაურობა აამტუტა, ან კიდევ სხვა რამე ოინბაზობა ჩაიდინა. ასეთი საქციელიც, როგორიც აწერილია ზემოაღნიშნულს კორესპონდენციაში, როდესაც მთელი კომპანია სჩადის უგვანო რამ საქციელს, კვლავაც ყოფილა ოდესაშიც და სხვა ქალაქებშიც, აგრეთვე ჩვენშიც.

სამწუხარო უფრო ისაა, რომ მომეტებულს ნაწილს იმ ახალგაზრდებისას, რომლებიც ასეთს რაინდობას იჩენენ, ეს თავიანთი საქციელი ზოგჯერ საკვეხურადაც კი აქვთ. შეიძლება ასეთი გაკვრა-გამოკვრის ჟინი ჩვენი ტერიტორიული ნაკლიც იყვეს, შეიძლება ზოგიერთა ახალგაზრდას ძალიან თავიც მოჰქონდეს ამ თავისი ჟინიანობით, მაგრამ შეუძლებელია ქართველმა საზოგადოებამ და საერთოდ ქართველმა ხალხმა ამ ჩვენს აწმყო ხანაში ეს უბედურებაც ზურგით ატაროს.

წინათ ვიცოდით... „ესი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში უპოვარი, მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარიო“.. და სხვა. შემდეგ იყო, როდესაც უცხო ვინმე გაგვიცნობდა, კერძო პირი იყო იგი, თუ რაიმე წრე—საზოგადოება, მაშინვე მოიგონებდა—ჰო, ქართველები? ვიცით, ლამაზი ხალხია. ცქვიტი, მამაცი, ნიჭიერი, ჰუმანიური, კეთილშობილი, რაინდი...

ეხლა რაღა გვესმის? აგერ მეოთხე წელიწადია ჩრდილო-კავკასიაში ვცხოვრობ და შემიძლიან დანამდვილებით ვსთქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში არც ერთი დიდი პროცესი არ გარჩეულა აქეთ მხარეს სასამართლოებში ავაზაკობისა, კაცის მკვლელობის, გზაში დაცემისა თუ სახლში შეჭრის, რომ შიგ ქართველიც არა ერეულიყვეს. არც ერთი დიდი მკვლელობა და რამ უბედურება არ დატრიალდება ყუბანის და თერგის ოლქში, რომ ქართველები ან მეთაურები, ან საერთო მონაწილენი არ იყვნენ.

ამას შედეგად ჯერ ერთი ის მოჰყვა, რომ რაც უნდა მკვლელობა თუ ავაზაკობა მოხდეს აქეთ მხარეს, სანამ დამნაშავეს იპოვნიან, გაზეთებში უკვე კორესპონდენციაა გამოქცხვარი:—ქართველები იყვნენ; ან, ტუზემეცი იყო, ქართველსა ჰგავდაო. მეორე ის, რომ ქართველს, ოდესაში თუ ბინას არ აქირავებენ, სხვაგან სამუშაოსაც კი აღარ აძლევენ. ზოგიერთ ქარხანაში ქართველს ახლოსაც არ იკარებენ—შენი თავი არა გვაქვს არც შენი ნამუშავარი გვინდაო.

ოდონდაც! თუ კი ქართველი სტუდენტი, ეს უმაღლესს, უკეთილშობილესს სწავლის მაძიებელი, სულით და ხორცით ახალგაზრდა, მეცნიერების, წმინდა, წარუხოცელი იდეალების მატარებელი, ქართველებისა და საქართველოს მომავალი იმედი ველურ საქციელამდის მიდის, მაშინ გაუნათლებელს, თავისი სახლიდგან ნებით თუ უნებურად უგზო-უკვალოდ გადმოვარდნილს, სამშობლო კერას მოწყვეტილს რაღა მოეთხოვოს? და აკი აღარც არავინა სთხოვს რასმეს!—ქართველი ხარ? არა, ეხლა სამუშაო არა მაქვს რა, თორემ დიდი სიამოვნებითო და კიდევ კარგი, თუ კი ასე თავაზიანად მაინც გაისტუმრებენ.

ბოლო ხანს ასე ეკიდებიან არა მარტო ქართველ მუშას, არამედ ქართველ სტუდენტსაც, ნასტუდენტარსაც, ტეხნიკოსსაც და ინჟენერსაც.

ბაქოს და გროზნის ნავთის სამრეწველოებში, სადაც მუშები ათასობით ითვლებიან და ტეხნიკოსი და ინჟენერები ასობით, ქართველები იშვიათად მოიპოვებიან. ამ 3—4 წლის წინად გროზნაში, მთელ ნავთის 10.000 მუშაში და რამდენიმე ათეულს ტეხნიკასა და ინჟენერში იყო: ერთი ქართველი ინჟენერი, ერთი ქართველი ტეხნიკოსი და არც ერთი ქართველი მუშა. რამდენიმე მრეწველი ან გამგე ასე ხსნიდნენ თავიანთ უარს ქართველების მიღებაში, ვსცადეთ ქართველი მუშა და აღარ გვინდაო. მიზეზი მათის აზრით ზოგი რევოლიუციონერობა იყო, ზოგი უვარგისობა—ულოდინარობა და ზოგიც ქართველის სპეციფიკური თვისება—ქირვეულობა, არნაუტობა, სად ცემა, სად ტყუპა და სხვ.

ასეა ბაქოშიაც, ნოვოროსიის ირგვლივ ცემენტის ქარხნებშიაც და სხვაგანაც.

არც ისაა ჩვენთვის საიდუმლო, რომ საერთოდ ჩვენი მეზობელი ინტელიგენციაც ასე გვიყურებს. ან კი რა გასამტყუნარია? ღრმად გაცნობა ქართველების სულ უკანასკნელ დროის კულტურულ აღორძინებისა, მისი დღევანდელი შემოქმედებითი ნაბიჯისა არც მტერს და არც მოყვარეს ადვილად არა შეუძლიან. სამაგიეროდ ქართველის, სტუდენტის, თუ არა სტუდენტის „ველურობა“. მისგან დარბევა-აწიოქება კი მრავლად ესმის.

დროა ქართველმა საზოგადოებამ რამე იღონოს და ისინი მაინც ალაგმოს, ვინც ასე ულმერთოდ, ასე ურცხვად სთელავენ მთელი ქართველი ერის ფაქიზს გრძნობას და თავიანთი უსინიდისო საქციელით სახელს უტეხენ ქართველებს მეზობელ ერებში.

საჭიროა, ქართველმა საზოგადოებამ იცოდეს ყველა ის უმზგავსოება, რაც ხდება საქართველოსა თუ საერთოდ რუსეთის ქალაქებში ქართველის სახელით. მეტადრე, რასაკვირველია, სტუდენტების და საერთოდ ინტელიგენტების მხრივ.

ყველა ამ შემთხვევაში, კერძოდ ოდესელ „ველურობის“ შესახებ, საჭიროა გამოქვეყნებულ იქმნას ჩვენს გაზეთებში სახელი და გვარი ყველა მონაწილესი.

საჭიროა ყველა ქართველმა იცოდეს, რომ მას არავინ შეაქებს მდაბიო რაინდობისთვის, არამედ ქართველი საზოგადოება და მთელი ერი სასტიკად გაჰკიცხავს მას, ანგარიშს მოსთხოვს და მკაცრ მსჯავრს დასდებს მის შემარცხვენელს.

იგ. ყიფშიძე.

მოწერილი ამბავი

ს. ნიგოზეთი (ზემო-იმერეთი). კვირას, პირველ დეკემბერს, გადაცვალებიდან მეორმოცე დღეს, აქაურ წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელმა ბეს. გაფრინდაშვილმა საზოგადოების თანადასწრებით გადაიხადა წირვა და საფლავზე პანაშვიდი ადგილობრივი ორკლასიანი სამინისტრო პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლის ვასილ საჩინოს ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად. ქართულად გალობდნენ განსვენებულის მოსწავლეები მასწავლებლების ლოტბარობით. პანაშვიდის შემდეგ მასწავლებელმა ვ. ნაცვლიშვილმა სიტყვა სთქვა და აღნიშნა განსვენებულის უანგარო და ხანგრძლივი მოღვაწეობა.

ლ.

რუსეთი

ხმები ილიოდორზე.

პეტერბურგში ხმა გავრცელდა, ილიოდორე კვლავ უბრუნდება მართლ-მადიდებელ ეკლესიასო. ვითომ ილიოდორეს წერილი გაუგზავნია პეტერბურგში, მონანიებასა და პატიებას ითხოვდა. „რუსკია ვედომოსტში“ ამის საწინააღმდეგოდ მოყვანილია ილიოდორეს წერილი, რომელიც „ახალ გალილეიდან“ გაქცევის დროს დაუწერია. ამ წერილში ნათქვამია, რომ იგი მტკიცედ ადგას ახალ გზასო და არასოდეს არ უღალატებს მასო.

სოციალისტთა საერთაშორისო ბიურო და სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის განხეთქილება:

რუსეთის სოც.-დემოკრატთა პარტიის განხეთქილებამ ბოლო დროს მწვავე ხასიათი მიიღო. სოციალისტთა საერთაშორისო ბიურომ საჭიროდ ჩასთვალა საქმეში ჩარეულიყო და მთლიანობა აღედგინა. ბიურომ მიიღო კაუტსკის რეზოლიუცია. გაერთიანდეს რუსეთსა და პოლონეთში ყველა მიმართულებანი, რომელნიც სოციალ-დემოკრატიის პროგრამას აღიარებენ. გ. პლეხანოვი ამ დადგენილების გამო ბიუროდან გავიდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მანდატი გაიყვეს ლენინის მომხრეებმა და იმ მიმართულებამ, რომელიც 1912 წლის აგვისტოს თათბირზე გაერთიანდა საერთაშორისო ბიურო არ დაეთანხმა, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციიდან გამოყოფილ მეძვს დეპუტატს ფრაქციის წარმომადგენლობა მიენიჭოს.

ფოსტის მოხელეთა მდგომარეობა.

ფოსტის მოხელეთა შორის უკმაყოფილება თანდათან იზრდება. ფოსტალიონებმა არაერთხელ მიჰმართეს თვის უფროსებს, მათი ნივთიერი მდგომარეობა ჯამაგირების მომატებით გაემჯობესონ. ამ შუამდგომლობამ ადმინისტრაციის ყურადღება მიიქცია. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა უფროსმა ცირკულიარი გამოსცა. იგი ფოსტალიონების შუამდგომლობის დაკმაყოფილებას შესაძლოდ არა სცნობს და ურჩევს, ტყუილ-უბრალოდ ნუ შუამდგომლობენ. მისი აზრით, ასეთი შუამდგომლობანი კანონით დაისჯება.

იმედ გაცრუებულ ფოსტალიონებმა პეტიციით მიჰმართეს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას, რათა რაიმე იღონონ მათის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ხმები დეპ. კრუპენსკისა და ზამისლოვსკიზე.

ხმები გავრცელდა, რომ სათათბი-

როს წევრი კრუპენსკი დეპუტატობას თავს ანებებს და დიპლომატთა უწყებაში გადადისო. აგრეთვე ზამისლოვსკისთვის წინადადება მიუციათ, იკისროს კიევის სამოსამართლო პალატის ბრალდებლის თანამდებობა. ზამისლოვსკის თანხმობა განუცხადებია.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

10 დეკემბერი.

უცხოეთი.

ათინა. ათინის სააგენტოს კანეიდან ატყობინებენ: სახელმწიფოთა ელჩებმა კრიტოსის გენერალ-გუბერნატორს განუცხადეს, რომ დიდი სახელმწიფონი კრიტოსს საბერძნეთის კუთვნილებად აღიარებენო.

პეშავერი. ყაჩაღთა ბრბო თავს დაესხა მატარებელს და გაძარცვას შეუდგა; როგორც კი გამოჩნდნენ ინგლისის ოფიცრები და ჯარის-კაცნის ყაჩაღები უკუ იქცნენ. ყაჩაღებს ჯარი დაედევნა.

რომი. დეპუტატთა პალატა. პალატამ საფინანსო წვრილი კანონ-პროექტები მიიღო; აგრეთვე მიიღო სარკინისგზო აშენებლობისთვის ხაზინის ხუთ წლიანი ბონები 290 მილიონისა. სოციალისტი გრაციადეისი მოუწოდებდა მთავრობას მეტი გულწრფელობა გამოიჩინოს საფინანსო ანგარიშში; მოლაპარაკე აღნიშნავს, რომ იტალიიდან ხელოვნურად არის გაზიდული კაპიტალები სამხედრო საქმეებისთვის, ამან მრეწველობის დაცემა გამოიწვია.

დღესასწაულების გამო პალატის სხდომები 21 იანვრამდე შესწყდა.

ტოკიო. დესპანი მოტონო რუსეთში წავიდა. მექსიკოს ელჩის მოსვლას პრესა აღფრთოვანებით შეხვდა. ოფიციალური ორგანო სწერს: იაპონელები და მექსიკანელები მოწადინებულნი არიან დიდ ოკეანოზე მშვიდობიანობა დაამყარონ.

ვენა. „ნეიე-ვინერ-ტაგებლატ"-ის სიტყვით მინისტრი დლუგოში თანამდებობიდან გადადგა.

თეირანი. მთავრობამ საბოლოოდ მიიღო რუსეთის წინადადება, ყაზახთა რაზმი 500 კაცით გააძლიეროს.

ბუდაპეშტი. „აზეტ"-ის სიტყვით, პროცესი მარმაროშ-სიგეტში დღესასწაულების გამო იანვრისათვის გადაიდო.

„პესტერ-ლოიდში" დეპუტატ ილეშის წერილია მოთავსებული, სადაც აღნიშნავს, რომ მართმადიდებელ სარწმუნოებრივი მოძრაობა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჰუნგრეთში გამოწვეულია რუსეთის მიერ სლავიანო-ფილობის საქადაგებლად.

ვენა. ავსტრიის დელეგაციამ მუშაობა დაასრულა და სხდომები შესწყვიტა.

რუსეთი

კიევი. გუბერნიის ერობის მიერ მოწვეულმა საკოოპერაციო თათბირმა საჭიროდ სცნო კიევში დაარსონ საკოოპერაციო სკოლა და უმაღლესი კურსები კოოპერატორ-ინსტრუქტორებთა მოსამზადებლად.

პეტერბურგი. ლივადიიდან დაბრუნდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი.

პეტერბურგი. სავაჭრო ნაოსნობის საქმეთა საბჭოს სესიამ საჭიროდ სცნო ასტრახანში სანაოსნო მართველობა დაწესდეს.

პეტერბურგი. გამომცემელთა და წიგნის გამყიდველთა სრულიად რუსეთის საზოგადოების წესდება დამტკიცდა.

იალტა. შინაგან საქმეთა მინისტრი იალტიდან წავიდა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს წერილს ზოგიერთ ეჭვის გასაფანტავად.

აგერ სამი-ოთხი თვე იქნება, თითქმის ყოველდღე ერთი და იგივე საყვედური მესმის სხვა და სხვა პირებისაგან. თქვენ ჰლალატობთ თქვენს მოვალეობას, აჭარბებთ გორის პროფეს. სკოლის შესახებ და დაუმსახურებლად „დითირამბებს" უგალობთ ელ. თარხან-მოურავს და მის სკოლას, როდესაც ამ სკოლას მრავალი უარყოფითი მხარე აქვს. ექსპლოატაციას უშვრებიან პატარა ქალებსო და სხვ. (ეს ამ 3—4 თვის წინად გადმომცეს) ასეთივე საყვედური გამიმეორეს პირველ დეკემბერს სალამოთი ერთს ოჯახში.

სკოლაში მეტად ანტიპედაგოგიურად არის დაყენებული საქმე, მოწაფეებს ნამეტნავად ჰღლიან, სწავლა იწყობა დილის ცხრის ნახევარზე, თავდება შუადღის სამს საათზე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ნახევარ საათს ისვენებენო და სხვ. შენ კი ამის არიდებ თვალს და სწერ იმაზე, რაც საჭირო არ არისო. გარდავწყვიტე შევკითხებოდი ამის შესახებ სკოლასთან ახლო მდგომ პირებს, შევკითხებოდი თვით გამგეს, რათა სიმართლე სინათლეზე გამომეტანა. მესამე დღეს, 3 დეკემბერს, ი.-კ-ლს შევხვდი. სხვათა შორის, ჩამოგვივარდა ლაპარაკი პროფეს. სკოლაზე. მე გარდავეცი საყვედურები, რომელთაც გამიჭირეს საქმე. ბ. კ-ლის შეკითხვაზე—გადავცე თუ არა ეს სკოლის გამგესო, ვუპასუხე გარდაეცით, რადგან თუ მართლა ასეა, ნაკლი უნდა აცილებულ იქნას მეთქი. როგორც ბ. კ-ლმა გადმომცა, მას სწორედ გადაუცია ჩემი სიტყვები სკოლის გამგესთვის. ოთხ დეკემბერს კი ქ. ე. ზ. თარხან-მოურავს საყვედური გამოუცხადებია სკოლის მასწავლებელ—ქალებისათვის—ერთ-ერთს თქვენგანს შინაური ამბები გარედ გააქვს, ბ. სანგანიძისთვის უთქვამს ესა და ესა. მოვახსენებ ქ. ელენე ზაალის ასულს, რომ მასწავლებლები აქ არაფერ შუაში არიან; მე მასწავლებელი არავინ დამისახელებია და თვით ტერმინიც „მასწავლებელი" არ მიხსენებია ჩემი კ—ლთან ბაასის დროს და საიდან იქმნა გამოგონილი ეს, არ მესმის. მობაასის შეკითხვაზე—ვინ გითხრა ეგენიო, მე ვუპასუხე—რა საჭიროა პიროვნების დასახელება, ისეთმა პირმა მითხრა, რომელიც სკოლასთან ახლო სდგას მეთქი. ამას დაამოწმებს, ვგონებ, თვითონ პატივცემული ბ. კ—ლი და მესამე პირი, რომელსაც, თუ საჭირო იქმნება, დავასახელებ. ზემოხსენებულ ჩემს სიტყვებში კი, მე ვგონებ, მასწავლებლის გარდა, სხვაც შეიძლება იგულისხმოს ისეთი, რომელიც მართლაც ახლოსა სდგას სკოლასთან.

სანგანიძე.

მ. ხ. ბატონო რედაქტორო!

წელზე მეტია, რაც შეუბრალებელმა სიკვდილმა ხელიდგან გაგვტაცა ჩვენი ერის თავდადებული მამულიშვილი და მოწინამძღვრე დედა-ენისა იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი. ეს უბედურება შორეულ აღმოსავლეთის ქართველ საზოგადოებისთვისაც მეტად საგრძნობელ წყლულს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოშორებულნი არიან თავიანთ მიწა-წყალს.

ნიშნად განსვენებულის პატივისცემისა გაიმართა ურთი-ერთ შორის მოწოდება მის სახელობაზე დაარსებულ ფონდის გასაძლიერებლად; რათა მეტი ნაყოფიერი შეიქმნას განსვენებულის დიადი მიზანი, ღრმად გაიდგას დედა-ენამ ფესვები, ამაღლდეს განათლებით სამშობლო მხარე და უკუ-აგდოს უმეცრების შავი ზეწარი.

გიგზავნით და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულისამებრ ორას ოთხმოცდა ექვსი მანეთი და ათი შაური, (286 მ. 50 კ.), რომლისაგან ასი მანეთი (100 მ.) შეკრებილია ქალ. ხაბაროვსკის ქართველთა შორის ბატ. გიგო გერასიმეს ძე ჩითაევის თაოსნობით; დანარჩენი ას ოთხმოცდა ექვსი მანეთი და ათი შაური (186 მ. 50 კ.) ქალ. ვლადივოსტოკის ქართველ საზოგადოების ურთიერთ შორის.

ამასთანავე გაახლებთ შემომწირველთა სიას და გთხოვთ ყოველივე მოათავსოთ თქ. პატივცემულს გაზეთში:

სია ქალ. ვლადივოსტოკ. შემომწირველთა:

ალექსანდრე ილარიონის ძე დახანოვი 25 მ., ისიდორე ივანეს ძე ჰანტურია 25 მ., ვლადიმერ სიმონის ძე ბალავაძე 10 მ., ალექსანდრე ფილერი 2 მ., გერმანე ყარამანის ძე თოთიბაძე 3 მ., ვანო გოგიბერიძე 1 მ., მიხაკო წივწივაძე 2 მ., ვასილ ყიფიანი 1 მ., იოსებ გიორგის ძე ბაბუნიძე 10 მ., დიმიტრი მიხეილის ძე ლეკიშვილი 5 მ., მიშა გორდაძე 2 მ., ილია ალექსანდრეს ძე მხეიძე 5 მან., გერასიმე კალანდაძე 5 მ., გრიგოლ კოხტას ძე პერტენავა 5 მ., ვასილი პავლეს ძე კახიანი 5 მ., ზურაბ სოსიას ძე გვიმბრაძე 5 მ., ტარასი ანტონის ძე სხვიტარიძე 5 მან., სოლო ყაზახაშვილი 5 მ., სერგო ჩიკვილაძე 1 მ., ივანე ჯოხაძე 1 მ., ე. გრიქუროვი 1 მ., ალექსანდრე ს. მანჯგალაძე 5 მ., კონსტანტინე გიორგის ძე ჯაყელი 5 მ., დიმიტრი როსტომის ძე სულავა 5 მ., სერაფიონ აბაშიძე 6 მ., ესტატე გიგაშვილი 1 მ., ივანე თეოდორის ძე თარხნიშვილი 3 მ., რევაზ აბაშიძე 1 მ., დავით პეტრეს ძე მოდებაძე 2 მ., დიმიტრი მირინაშვილი 1 მ., სილოვან ლომთათიძე 1 მ., იოსებ ზატიკაშვილი 3 მ., მელქისედეკ სიმონის ძე დოლიძე 2 მ., ვასო ჯაფარიძე 5 მ., მარკოზ ოდელლოვაძე 5 მ., მიხეილ რუსიშვილი 1 მ., სერგო იობიძე 50 კაპ., მღვდელი ლადო იმერლიშვილი 5 მ., პეტრე ელაღიანი 3 მ., სერაფიონ ვარდანიძე 1 მ., სოლომონ ზაქარის ძე თავ. მაყაშვილი 5 მ., გიორგი ჩიგოგიძე 2 მ. სულ ჯამი 186 მ. 50 კ.

სია ქალ. ხაბაროვსკ. შემომწირველთა:

ტიგრან ზახარის ძე სოლოვიევი 5 მ., გიგო გერასიმეს ძე ჩითაევი 15 მ., კოლა გელაშვილი 6 მ., ივანე დავითის ძე კაპანაძე 10 მ., მიხეილ შიბაგულოვი 10 მ., ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მიქელოვი 10 მ., ივანე იორდანეს ძე ჯალაღანია 1 მ., კოზმან დიანოსის ძე დოლიძე 5 მ., სილოვან საყვარელის ძე დოლიძე 5 მ., ილიკო სპირიდონის ძე ბერიძე 2 მ., ვასილ როსტომის ძე ნარიმანიძე 10 მ., ალექსანდრე გრიგოლის ძე არდიშვილი 10 მ, პარმენ თევზაძე 5 მ., ვარლამ ალექსანდრეს ძე შალამბერიძე 3 მ., მელქო გრძელოვი 3 მან. სულ—100 მ. მთელი ჯამი 286 მ. 50 კაპ.

ზემოხსენებულ შემოწირულებაში კეთილი ინება და მონაწილეობა მიიღეს სომხის საზოგადოების წევრებმაც, რისთვისაც ქ. ვლადივოსტოკის და ქ. ხაბაროვსკის ქართველი საზოგადოება უღრმეს მადლობას უძღვნის თანაგრძნობისთვის.

საზოგადოების დავალებით **გიორგი ჩიგოგიძე.**
ქ. ვლადივოსტოკ

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილ**

1506

თმის სალბავი კაკლის ექსტრაქტისაგან. სრულიად უვნებელია. ღებავს სწრაფად და საფუძვლიანად, როგორი ფერისაც გნებავთ: ნაზი ქერისაგან შავ ფერამდე.
პარფ. კელნი, რიგა. ფერ. მიულგენს,

Мѣтцль. 357852.

უმაღლეს სასახლის იჯარადარი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

მატარებელთა მიმოსვლა
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევნისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.,** მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და 23 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფოსინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, აბაშიძის ქ. ტელ. 517).
5—6**ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 643).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კაბეთის მოედანზე, ავლაბარში ჩიტუნის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მარჯანის მოედანზე.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღანა: 10—11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგტაბეგოვა: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. გ. კარამეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ბეგტაბეგოვა: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
1004

ფეხსაცმელები
ი. და ჭ. ჯახუარაშვილის
მაღაზია სახლოსნოში,
მუხრანის ქ. № 2.
მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა.
855

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი **№ 8.** მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
საზოგადოებისავე გამოცემული და საკუთარი წიგნები:

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრ.	40 კ.
ახპინძის ომი,	7 „
ალი, ლომაურისა,	10 „
ამბავი ცხოველთა სამეფოსი, რუბაკ.,	50 „
აზიის მნათობი,	10 „
ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველა,	15 „
ჩრდილი, ი. ჭავჭავაძე,	5 „
ბუნების კარი,	70 „
ბუნების ცოდნა, პოლბერი	25 „
ბარტებ ძლევა-მოსილი,	20 „
ბურჯი ეროვნებისა. ი. გოგებაშვილი,	20 „
გეომეტრია მე-2-ე. მ. ყიფიანი,	50 „
გულივერის მოგზაურობა.	30 „
განდეგილი. ილია ჭავჭავაძე,	5 „
გლახის ნაამბობი, მისივე,	20 „
გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები, მისივე,	7 „
დედა და შვილი, მისივე,	3 „
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი,	5 „
ვეფხვის ტყაოსანი,	60 „
„ „ ქართველიშვ. გამ.	11—65 „
Законы царя Вахтанга.	3—50 „
თხზულ. რაფ. ერისთავისა, მე-2,	40 „
„ ვაჟა-ფშაველასი,	1— —
„ ეკ. გაბაშვილისა,	1—20 „
„ პუშკინისა,	50 „
თავდადებული ქართველნი, ი. გოგებ.	7 „
თავდადებული ქართვ. ქალნი, მისივე,	5 „
თორნიკე ერისთავი, აკაკისა,	35 „
იავნანამ რა ჰქმნა, იაკობ გოგებ.	7 „
კონა, მისივე,	40 „
კატალოგი წ.-კ. ს. წიგნთ-საცავისა,	60 „
„ „ დამატება,	40 „
ინდი მინდი ფერად შინდი, ქორიძის ნოტი,	30 „
ბროლის ყელი, მისივე ნოტები,	20 „

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
(ტფილისი. ერივანის პროსპექტი, სახლი N 24—4, ტელეფ. 976).
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში და Pigi-ის (პარიზში), Muster Comton-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო 1) უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გახსნილი სპეციალური კლასი განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების ხელმძღვანელი. კურსები კარგ მოწყობილია. მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო. ამათგან 63 ქალი რომელნიც მსურველნი ზევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალებისათვის გარედ მცხოვრებთათვის. 1628

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
1560

Верiйская паровая баня
ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ
ზ. ი. აბრამაშვილის
აბანოში
ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში
ვერის დაღმართზე, (Верiйскiй спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. ცივი და ცხელი დუში სთავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. ვანები აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

Открыта подписка на 1914 годъ
СОВРЕМЕННЫЙ МIРЪ
24-й г. изданiя. 24-й г. изданiя.
Ежемѣсячный литературный, научный и политическiй журналъ.
На 1914 г. въ числѣ другихъ намѣчены къ печати: БЕЛЛЕТРИСТИКА: Романы: В. Сѣрошевскаго („Затишье"), К. и О. Ковальскихъ; повѣсти И. Потапенко („Новая Кровь"), А. Өедорова („Чудо"); разсказы Д. Айзмана („Ночь на Теревѣ"), Ив. Бунина; В. Муйжеля („Хуторъ № 16") Н. Осиповича („Олесь его величество"), Евг. Чирикова („Перелетъ"), Ив. Шмелева („На бережку") Кромѣ того, съ января печатается авторизованный переводъ съ рукописи новаго романа Генриха Мана („Вѣрноподданный"); ПОСТОЯННЫЕ ОТДѢЛЫ: Ал. Кранихфельда („Литературные отклики"), Н. Рязанова („Въ Россiи и на Западѣ" — историч. матерiалы), Ник. Iорданскаго („Политическiя замѣтки"), Л. Клейнборта и I. Ларскаго („Вопросы текущей жизни"), Евг. Чирикова („Провинцiальныя картинки"), Демьяна Бѣднаго („Басни и сатиры"), Иностранное обозрѣнiе, Библiографiя. СТАТЬИ: А. Алексинскаго. В. Бончъ-Бруевича, Л. Дейча. А. Коллонтай, Н. Морозова, Г. Плеханова, Н. Рожкова, А. Финна-Енотаевскаго, Г. Цыперовича и мн. друг.
УСЛОВIЯ ПОДПИСКИ (съ дост. и перес.): годъ—9 р.; ½ года—4 р. 50 к. ⅓ года—3 р. За границу—12 р. годъ 6 р.—полгода. Безъ доставки въ Спб.—8 р. въ годъ и 4 р.—полгода.
Въ 1914 году, желая удовлетворить назрѣвшую потребность демократическаго читателя въ идейномъ и общедоступномъ по цѣнѣ журналѣ.
издательство СОВРЕМЕННЫЙ МIРЪ выпускаетъ
2-ое **УДЕШЕВЛЕННОЕ ИЗДАНIЕ**
книжками (160—200 стр.), въ которыя войдутъ главнѣйшiя художественныя произведенiя и статьи перваго изданiя.
условiя подписки: годъ—4 р.; ½ года—2 р.; 3 мѣсяца 1 р.
Адресъ: С.-Петербургъ, Надеждинская, 33.
Редакторъ Ник. Iорданскiй. Подробный проспектъ высылается безплатно. Издательница М. К. Iорданская.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.